შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლი ფაკულტეტი
მედიცინის ფაკულტეტი

სტუდენტთა მე 18 სამეცნიერო კონფერენცია

მასალების კრებული

20 ივნისი 2022 წელი
ქუთაისი

საორგანიზაციო კომიტეტი:

1. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი- კომიტეტის თავმჯდომარე
2. **თეონა გრიგოლაშვილი**- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი- კომიტეტის წევრი
3. **ნიკოლოზ ჩიხლაძე** შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი.
4. **მალვინა ყიფიანი** - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;
5. **თეა ვალიშვილი** - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;
6. **გოდერძი შანიძე** - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;
7. **მაია აზმაიფარაშვილი** - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი;
8. **დიანა უგლავა** - შპს ქუთაისის უნივერსსიტეტის მოწვეული ლექტორი, კომიტეტის წევრი;
9. **გვანცა ჯიჩოშვილი** - შპს ქუთაისის უნივერიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი - კომიტეტის წევრი.

შინაარსი:

1. **ალიმი ხერხაძე,** “ფინანსური ბაზრები საქართველოში, პოტენციალი და განვითარების შესაძლო გზები” სამეცნიერო ხელმძღვანელი: იოსებ არჩვაძე, ქუთაისის უნივერსიტეტი _ 5
2. **გიორგი მესხორაძე**, „ტურიზმის ეკოლოგიზაცია და მდგრადი განვითარების თეორიულ პრაქტიკული ასპექტები“ მაია აზმაიფარაშვილი ქუთაისის უნივერსიტეტი _____ 7
3. **თამუნა მჭედლიშვილი**, "კრიპტოვალუტის" განვითარების სავარაუდო სცენარები საქართველოს მონეტარულ ბაზარზე“ ვალერი მოსიაშვილი უნივერსიტეტის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი(სეუ) _____ 8
4. **ლია ხელაძე** „საქართველოს საგადასახადო სისტემა პანდექსიტის პირობებში“ ნიკოლოზ ჩიხლაძე, ქუთაისის უნივერსიტეტი _____ 9
5. **ბექა კაჭკაჭიშვილი** „ევროკავშირი და საქართველო: ორმხრივი ურთიერთობების რეტროსპექტული ანალიზი“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე ლომია სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი _____ 11
6. **გიორგი ჯიბლაძე,** „სოციალური მარკეტინგი, როგორც საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების ინსტრუმენტი“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა ვალიშვილი ქუთაისის უნივერსიტეტი _____ 13
7. **თამარ ჭიჭინაძე,** „ორგანიზაციული კულტურის როლი სკოლის მართვაში“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა ვალიშვილი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი _____ 15
8. **ანა გუჩუა,** „საქართველოს გეოკონომიკური შესაძლებლობების გააქტიურება ახალი გლობალური წესრიგის ფონზე“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ჩიხლაძე, ქუთაისის უნივერსიტეტი _____ 17

9. **ოთარი ტუკვაძე**, "ინტელექტუალური ტექნოლოგიების როლი გლობალური წყლის დეფიციტის დაძლევაში" სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ჩიხლაძე ქუთაისის უნივერსიტეტი _____ 19
10. **მარიამი დენოსაშვილი**, "სტუდენტთა ცოდნის შეფასების ფორმები და მეთოდები" სამეცნიერო ხელმძღვანელი ნანა ლუხუტაშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი _____ 20
11. **ხატია კაკაურიძე,** „ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკის ცვლილება XX და XXI საუკუნეებში", ხელმძღვანელი პაატა კლდიაშვილი, ქუთაისის უნივერსიტეტი _____ 21

ალიმი ხერხაძე,
სამეცნიერო ხელმძღვანელი: იოსებ არჩვაძე,
ქუთაისის უნივერსიტეტი

“ფინანსური ბაზრები საქართველოში, პოტენციალი და განვითარების შესაძლო გზები”

აბსტრაქტი:

ფინანსურ ბაზრებზე დიდ გავლენას ახდენს არსებულ ვითარებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური მომენტი და მოლოდინებიც, რაც, საბოლოო ჯამში, საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკაზე ჰპოვებს ასახვას და ბენეფიციარებს საფონდო ბაზრიდან მიღებული ინფორმაცია უბიძგებთ დროულად გათვალონ შესაბამისი ნაბიჯები. ფასიანი ქაღალდების ბაზარი უზრუნველყოფს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების სწრაფ მობილიზებას ბიუროკრატიული შუამავლების (ამ შემთხვევაში ბანკები) გარეშე და საბანკო კრედიტთან შედარებით მინიმალური დამატებითი საკომისიოებით. ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საბანკო სფერო თავიანთი არსით ერთმანეთის კონკურენტები არიან, ვინაიდან ორივე საკუთარი ინსტრუმენტებით ცდილობს იტვირთოს ერთგვარი შუამავლის როლი, მათ შორის, ვისაც, ერთი მხრივ, მოეპოვება დროებითი თავისუფალი ფულადი სახსრები და, მეორე მხრივ, იმ სუბიექტებთან, ვისაც ფულადი სახსრები ესაჭიროებათ. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და საქართველოს საფონდო ბირჟის განუვითარებლობის რამდენიმე ძირითადი მიზეზი არსებობს, რომლებიც ერთმანეთთან უშუალო კავშირში არიან და ამ მიზეზებზე დეტალურ ჩაღრმავებას ისევ ბანკების საქმიანობასთან მივყავართ. მაგალითად, სს საქართველოს ბანკმა, რომელიც საქართველოს საფონდო ბირჟის აქციების მნიშვნელოვანი პაკეტის მფლობელია.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება დასაქმების პრობლემას ნაწილობრივ თვითდასაქმებით შეამცირებს, ეკონომიკა ამუშავდება ეკონომიკური სუბიექტების პირდაპირი დაფინანსების წყალობითა (და არა სქემით მოსახლეობა=>ბანკი=>საწარმოები) და ფულადი სახსრების მიმოქცევის სიჩქარის ზრდით.

საფონდო ბირჟის საქმიანობა ქართველ ეკონომიკურ აგენტთა ტრადიციულ საქმიანობას ნამდვილად არ წარმოადგენს, მაგრამ ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, განიცდიან საკუთარი სახსრების არარსებობას, საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალება კი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამუშავებაა. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა კი ორგანიზებული საფონდო ბაზრის და მისი ინფრასტრუქტურის (საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი) მდგრადი ფუნქციონირებაა. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში სახელმწიფოს დიდი როლი ეკისრება. ფასიანი ქაღალდების ბაზარი გლობალური ეკონომიკის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის გარეშეც შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება.

გიორგი მესხორაძე,
სამეცნიერო ხელმძღვანელი მაია აზმაიფარაშვილი,
ქუთაისის უნივერსიტეტი

„ტურიზმის ეკოლოგიზაცია და მდგრადი განვითარების თეორიულ პრაქტიკული ასპექტები“

აბსტრაქტი

რესურსების ოპტიმალური გამოყენება ხელს უწყობს ბუნებრივი საგანძურის შენარჩუნებას. დღეს ნაკლები ყურადღება ეთმობა ტურისტული დანიშნულების ადგილების მდგრადობის პრობლემებს. ბიზნესს მოეთხოვება პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტები, რათა კონკურეციის პირობებში თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე. ნაშრომში განვიხილეთ ტურისტული დესტინაციის მდგრადობის პრობლემები დაცულ ტერიტორიების მაგალითზე. გავაანალიზეთ ეკოლოგიური და სოციალურ - კულტურული ხასიათის ასპექტები, მდგრადობის გავლენა დესტინაცის ხარისხზე, ასევე განვიხილეთ ვიზიტორთა სტატისტიკა, შემოსავლები დაცულ ტერიტორიებზე, ეკოლოგიური ტურიზმის შეტანილი წვლილი ტურიზმის განვითარებაში. ასევე, განვიხილეთ მდგრადობის შენარჩუნება და განვითარების დამოკიდებულება მის მენეჯმენტზე. ჩამოყალიბებული იქნა რეკომენდაციები დესტინაციის გამტარუნარიანობასთნ და ეკოლოგიურ პრობლემებთან, პროდუქტიულობის მდგრადობასთან, ასევე, რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასთან დაკავშირებით.

თამუნა მჭედლიშვილი,
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი(სეუ)

"კრიპტოვალუტის" განვითარების სავარაუდო სცენარები საქართველოს მონეტარულ ბაზარზე“

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროს, ფინანსური სექტორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა და მუდმივი განხილვის საგანი ელექტრონული ფული და მისი სახეობებია. კრიპტოვალუტა, არის ელექტრონული ფულის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც 2008 წლიდან გამოჩნდა მსოფლიო სავალუტო ბაზარზე და მას შემდეგ, როგორც ყიდვის საშუალება, ნელ-ნელა პოპულარული ხდება არა მხოლოდ განვითარებულ სახელმწიფოებში, არამედ მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც.

კრიპტოვალუტის ბაზრის განვითარებას თან ახლავს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. გამარტივებულმა სავაჭრო ოპერაციებმა, შესაძლოა ვერ მოახერხოს ისეთი საფრთხეების თავიდან არიდება, როგორიცაა ნაკლები კონტროლის შედეგად გამოწვეული ფინანსური დანაკარგები, ვალუტის ფასთა მუდმივი ცვლილება და თაღლითობის მაღალი მაჩვენებლები. მსოფლიოს არაერთმა სახელმწიფომ სხვადასხვა გზებით დაიწყო აღნიშნული რისკების შემცირება ან თავიდან აცილება. საქართველოში კრიპტოსავალუტო ბაზარი ჯერ კიდევ ახლა იწყებს განვითარებას, შედეგად სახელმწიფოს მეთაურებსა და მარეგულირებელ ორგანოებს მოუწევთ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება, რაც დაასტაბილურებს ქვეყანაში აღნიშნული ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს. თემის აქტუალურობას განაპირობებს ის ძირითადი მიზეზები რის გამოც, ელექტონული ფულის აღნიშნუ-

ლი სახეობისათვის საქართველო შესაძლოა მიმზიდველი აღმოჩნდეს თავის დასამკვიდრებლად და გრძელვადიან პერსპექტივაში, განვითარების მიზნითაც.

ნაშრომის კვლევის საგანს საქართველოს კრიპტოსავალუტო ბაზარი და მის წინაშე მდგარი მთელი რიგი გამოწვევები წარმოადგენს. ყურადღება გამახვილებულია, ელექტრონული ფულის განსახილველი სახეობის ქვეყანაში დამკვიდრებასა და სამომავლოდ, საქართველოში კრიპტოვალუტის, როგორც ფულადი საშუალების განვითარების სავარაუდო სცენარებზე. ნაშრომის ერთ-ერთ საკვანძო საკითხი ასევე არის საზოგადოების ინფორმირების დონის დადგენა, როგორც კრიპტოვალუტის არსისა და მისი გამომუშავების შესაძლო გზების, ასევე მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების ცოდნის შესახებაც.

ლია ხელაძე,
სამეცნიერო ხელმძღვანელი ნიკოლოზ ჩიხლაძე
ქუთაისის უნივერსიტეტი

„საქართველოს საგადასახადო სისტემა პანდექსიტის პირობებში“

აბსტრაქტი

თემის აქტუალობა: კორონავირუსის შედეგად შექმნილმა ეკონომიკურმა რეალობამ სახელმწიფო ახალი ამოცანებისა და გამოწვევების წინაშე დააყენა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთი ტიპის საწარმოთა რიცხოვნობა, რომლებიც ფინანსური სახსრების არასაკმარისობის გამო იძულებულები გახდნენ შეეჩერებინათ თავიანთი საქმიანობა ან შეემცირებინათ საქმიანობის მასშტაბები. ამ მოვლენების შედეგად, ერთი

მხრივ, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, ხოლო მეორე მხრივ, ჯანდაცვის სექტორში ხარჯების მნიშვნელოვნად გაზრდისა და სხვადასხვა სოციალური დახმარებების გაწევის ფონზე საგრძნობლად გაიზარდა ბიუჯეტის ხარჯები. ყოველივე ზემოაღნიშნული უარყოფითად აისახა არა მხოლოდ ქვეყნის ბიუჯეტზე, არამედ მთლიანობაში ეკონომიკის განვითარებაზე.

აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზანს წარმოადგენს შეფასება და განხილვა იმისა, თუ როგორ გაუმკლავდა საქართველოს საგადასახადო სისტემა პანდექსიტის პირობებში არსებულ გამოწვევებს, განხორციელდა თუ არა ყველა ის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფდა მეწარმე სუბიექტების ფინანსურ მხარდაჭერას არსებულ რთულ რეალობაში და როგორ იმოქმედა აღნიშნულმა ცვლილებებმა/რეგულაციებმა სახელმწიფო ბიუჯეტზე.

დასკვნა

ყველა შემამსუბუქებელი რეგულაცია, ეს იქნება ფინანსური დახმარება თუ გადასახადის გადავადება, რომელიც გატარებული იქნა სამეწარმეო სუბიექტების მიმართ არის მნიშვნელოვანი, მათი საქმიანობის შენარჩუნების და ფინანსური კრიზისის მხარდაჭერის თვალსაზრისით, თუმცა აღნიშნულმა არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ თითქოს მათ ყველა ზარალს თუ რისკებს სახელმწიფო ბიუჯეტი აანაზღაურებს.

საგადასახადო სისტემაში განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიება, განსაკუთრებით პანდექსიტის დროს, დიდ ყურადღებას მოითხოვს, გამომდინარე იქედან, რომ მიღებულმა ცვლილებებმა ერთ მხრივ არ უნდა დააზიანოს მეწარმე სუბიექტების ინტერესები, რომლებიც ისედაც რთული გამოწვევების წინაშე იმყოფებოდნენ პანდემიის პერიოდში, ასევე მეორე მხრივ უზრუნველყოფილი უნდა იქნას სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების მობილიზება და მაქსიმალურად უნდა შემცირდეს ბიუჯეტის დეფი-

ციტი. ვფიქრობთ, რომ განხორციელებული ცვლილებები დადებითი ეფექტის მომტანია სამეწარმეო სუბიექტებისათვის, რადგან მათი უმეტესობა ლოიალურობას ამჟღავნებს საგადასახადო კანონმდებლობის მიმართ. ამ ეტაპზე უფრო მკაცრი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, გადასახადების ადმინისტრირების ღონისძიებების გამკაცრება და საგადასახადო ტვირთის უფრო დამძიმება არაეფექტური იქნება, უფრო მეტიც, ეს გამოიწვევს პანდემიის შედეგად ისედაც დასუსტებული სამეწარმეო სუბიექტების დაზარალებას, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე ნეგატიურად აისახება.

ბექა კაჭკაჭიშვილი,
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე ლომია
სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი

„ევროკავშირი და საქართველო: ორმხრივი ურთიერთობების რეტროსპექტული ანალიზი“

აბსტარქტი

ევროკავშირი - ევროპის კავშირი (ინგლ. European Union, ფრანგ. Union européenne) დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებაა. მასში გაერთიანებულია 27 სახელმწიფო, რომელთა მიზანია მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფა.

ევროკავშირი ოფიციალურად დაარსდა 1992 წელს და მას შემდეგ იგი ღიად უჭერს მხარს ადამიანის უფლებების განვითარებას, დემოკრატიულ პრინციპებს, კანონის უზენაესობას, კარგ მმართველობას და ყველაზე მნიშვნელოვნად, ერთიანი ბაზრის განვითა-

რებას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საქონლის ადამიანთა მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას.

დღესდღეობით, ევროკავშირი უნიკალური საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის მიზანია წევრი ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, იურიდიულ და სოციალურ განვითარება. მისი შექმნის ფუნდამენტური მიზანი იყო დემოკრატიული პრინციპების გაძლიერება, ქვეყნებს შორის თანამშრომლობა, მშვიდობა და სტაბილურობა.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები 1991-1992 წლებში დაიწყო, მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ორმხრივი ურთიერთობები გაღრმავდა ევროკავშირის მიერ „სამეზობლო პოლიტიკისა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამების ინიცირების შემდგომი პერიოდიდან, რომლის ფარგლებში საქართველომ არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა ევროპის დიდ ოჯახში საბოლოო ინტეგრაციის გზაზე.

სტატია მიზნად ისახავს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების რეტროსპექტულ ანალიზს და ორმხივი თანამშრომლობის დინამიკის შეფასებას.

გიორგი ჯიბლაძე,
სამეცნიერო ხელმძღვანელი თეა ვალიშვილი
ქუთაისის უნივერსიტეტი

„სოციალური მარკეტინგი, როგორც საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების ინსტრუმენტი“

აბსტრაქტი

სოციალური მარკეტინგი საზოგადოებაში არსებული სოციალურ–ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაზე არის ორიენტირებული. ამასთანავე, ეს არის კომპანიის საქმიანობისადმი საზოგადოების ნდობის მოპოვების, ახალი მომხამრებლის შეძენის, ინვესტორების მოზიდვის, მასობრივი ცნობადობის მოპოვებისა და კომპანიის საქმიანობის გამჭვირვალობის კარგად აპრობირებული გზა. დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებში კომპანიების მიერ სოციალური მარკეტინგის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების საშუალებით გადაიჭრა მრავალი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემა.

მოგების გაზრიდისათვის ბრძოლის პროცესში კომპანიების ინტერესები ხშირად უპირისპირდება საზოგადოების ჯანსაღ ინტერესებს. კომპანიები კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისათვის იბრძვიან მკვეთრად ცვალებად გარემოში, სადაც მუდმივად იცვლება მომხმარებელთა ფასეულობები, ინტერესები. ინფორმაციული ტექნოლოგიების ბუმის, ბაზრების გლობალიზაციის, საერთაშორისო კონკურენციის გამწვავების, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სოციალურ–პოლიტიკური მგომარეობის გართულების პირობებში ბუნებრივად დადგა სოციალური მარკეტინგის პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობა.

სოციალური მარკეტინგი შედარებით ახალი მიმართულებაა მარკეტინგის სამყაროში. იგი არის სოციალური პროცესების მარ-

თვის ახალი ტექნოლოგია. მოიცავს სამი მთავარი მომქმედი პირის: მომხმარებლის, მწარმოებლისა და საზოგადოების მიზანმიმართულ საქმიანობას საზოგადოების კეთილდღეობის სასარგებლოდ. ეს მიიღწევა მომხმარებელთა და მწარმოებელთა ძველი ქცევის ახალი, პოზიტიური ქცევის ჩანაცვლებით. მომხმარებელთა კეთილდღეობა არის მატერიალური და მორალურ ფასეულობათა ერთობლიობა, რომლის აღიარებასა და დანერგვაზე ორიენტირებულია სოციალური მარკეტინგი. ეს არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საზოგადოებისა და ბიზნესს შორის ინტერესთა კონფლიქტის გადასაჭრელად. სოციალური მარკეტინგის შესახებ არსებული ლიტერატურის უდიდესი ნაწილი საზოგადოების აზრისა და დამოკიდებულების შეცვლას განიხილავს, როგორც პიროვნების ინდივიადუალური ქცევის შეცვლას, ფართო ხედით ეს ცვლიელბები ნიშნავს მთლიანად საზოგადოების დამოკიდებულებების, რწმენის, აზრის ცვლილებას. ამიტომ აუცილებელია, სოციალური მარკეტინგის პრინციპების გამოყენებამდ მარკეტოლოგებმა განსაზღვრონ, თუ როგორი რეაქცია ექნება სამიზნე აუდიტორიას შემოთავაზებულ ცვლილებებზე.

სოციალური მარკეტინგის კონცეფციის დანერგვა და ეთიკური ნორმების დაცვა დიდ როლს ასრულებს ბიზნესის წარმატებასა და მომხმარებლის თვალში დადებითი იმიჯის ფორმირებაში. სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს მის აქტულობას.

ნაშრომში განხილულია როგორც უცხოური, ასევე ქართული გამოცდილება, გაკეთებულია შედარებითი ანალიზი, კაბინეტური კვლევის საუძველზე შესწავლილია ქართული კომპანიების მიერ გატარებული სოციალური ხასიათის ღონისძიებები. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარეობს შემუშავებული ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.

თამარ ჭიჭინაძე,
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა ვალიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ორგანიზაციული კულტურის როლი სკოლის მართვაში“
აბსტრაქტი

კულტურა ადამიანის პიროვნებას განსაზღვრავს მრავალი ასპექტით და მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს,განსაკუთრებით კი სასკოლო ცხოვრებაში,-რომელიც განსაზღვრავს მოზარდს,თუ როგორი კულტურული ღირებულებებით ფასეულობებით,რწმენებით,დამოკიდებულებებით გაიზრდება.

სკოლის ორგანიზაციული კულტურა არის ურთიერთობების, ფასეულობების,წესების, ნორმების,ტრადიციების,ნიშნების,დამოკიდებულებების სისტემა,რომელიც განისაზღვრება მისი მისიით და განვითარების სტრატეგიით, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა პირობებში მასწავლებლებისა და სკოლის ცალკეული წევრების ქცევის დასარეგულირებლად.სკოლის დირექტორი არის ის ვინც არეგულირებს ქცევებს და უნდა იცოდეს თუ რა სახის სკოლის კულტურა შეიძლება დაამკვიდროს მის სკოლაში,რადგან ზოგიერთი კულტურის შემოღებამ,რომელიც არ არის ორგანული სკოლაში არსებული კულტურის ტიპებისთვის შესაძლებელია თანამშრომელთა უკმაყოფილებაც გამოიწვიოს.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა,რომელიც მოიცავდა დირექტორების,მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვას,ორიენტირებული იყო დამედგინა თუ რამდენად უწყობს სკოლა ხელს,სკოლის კულტურის სხვადასხვა ფორმების განვითარებას,თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მასწავლებლებს ერთმანეთთან და დირექციასთან,რამდენად არის სკოლა უსაფრთხო,კომფორტული და საინტერესო მოსწავლეებისთვის.გამოკითხვა ჩავატარე

ანონიმურად,რაც საშუალებას აძლევდა კვლევაში მონაწილე თითოეულ ადამიანს გულახდილად ესაუბრა მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით.

ჩემს მიერ გამოკითხულ იქნა 12 სკოლის 11 დირექტორი,104 მასწავლებელი.თვისებრივი კვლევა ჩავატარე ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით ზესტაფონის მე-2 საჯარო სკოლის მე-4 და მე-7 კლასის მოსწავლეებთან,აგრეთვე ტყიბულის რაიონ სოფელ მუხურის სკოლის მოსწავლეებთან.კვლევამ აჩვენა,რომ დირექტორები სისტემატიურად ახდენენ მასწავლებელთა ინფორმირებას განათლების სიტემაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ და ხელს უწყობენ მათ განვითარებას პროფესიულად.მასწავლებლების დამოკიდებულება ერთმანეთთან მეტად თანამშრომლურია,ხდება გამოცდილების და იდეების გაზიარება,რაც სკოლის კულტურის უმთავრესი ფორმა და მისი საწინდარია.მოსწავლეების მხრიდან სასკლო გარემო და სასწავლო პროცესი მეტად პოზიტიურად აღიქმება ქალაქის სკოლაში,ხოლო მაღალმთიანი სოფლის სკოლაში მცირედი ,,ბულინგის'' ფორმები შეინიშნება და სასკოლო გარემო მათთვის გამოსასწორებელია. რაც შეეხება ტერმინის განსაზღვრას,თუ რა განსაზღვრავს სკოლის ორგანიზაციულ კულტურას-,როგორც მასწავლებლებისთვის ისე დირექტორებისთვის,ღია კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა 95%-მა.მნიშვნელოვანია ისიც-,რომ ყველა სკოლისთვის მნიშვნელოვანია ის,რომ სკოლაში იყოს ტოლერანტული დამოკიდებულება,ურთიერთპატივისცემა,სანდოობა,მიმღებლობა თუნდაც განსხვავებული კულტურის,ეთნიკური თუ რელიგიური წარმომავლობის

ანა გუჩუა
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ჩიხლაძე
ქუთაისის უნივერსიტეტი

„საქართველოს გეოკონომიკური შესაძლებლობების გააქტიურება ახალი გლობალური წესრიგის ფონზე“

აბსტრაქტი

თანამედროვე გლობალურ სამყაროში ქვეყნების მიმზიდველობა და სხვა ქვეყნების მიერ დაინტერესება განპირობებულია ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქციის გამოკვეთით. რუსეთ-უკრაინის ომმა დაგვანახა, რომ საქართველოსთვის ეს ფუნქცია უკავშირდება ისტორიულ აბრეშუმის გზას. დღეს, როდესაც დასავლეთს არ სჭირდებოდა, რომ რუსეთი იყოს აზიის ევროპასთან დამაკავშირებელი გზის მონოპოლისტი, შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოზე გამავალი აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი უმოკლესი სატრანსპორტო დერეფანი აქტუალობას იძენს.

რუსეთის სატრანსპორტო დერეფანი ჯეროვნად რომ ვეღარ მუშაობს მოწმობს ჩინეთის გადაწყვეტილებაც, რომ ტვირთები გადაიტანოს საზღვაო ტრანსპორტით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩინური კომპანიების დაინტერესება ტრანსპორტირება მოახდინონ საქართველოს გავლით, გააძლიერებს ქვეყნის სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციას.

გარდა ამისა, საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია საჰაერო კომპონენტის ჩართვაც, ვინაიდან არსებობს ძალიან დიდი რესურსი იმისა, რომ საქართველომ შეიძინოს საჰაერო-სატრანსპორტო ჰაბის ფუნქციაც.

ამასთან, ჩინური ინიციატივის "ერთი გზა - ერთი სარტყელი" განხორციელების შემთხვევაში საქართველო შეიძენს არამარტო

სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციას, არამედ იგი გახდება მწარმოებელი ქვეყანაც. საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან და ასევე ჩინეთთან. გეოგრაფიულადაც იგი ამ ორ დიდ გეოეკონომიკურ სუბიექტს შორის მდებარეობს. ამ ფაქტორების გათვლისწინება ხელს შეუწყობს ქვეყნის გეოეკონომიკურ ჰაბად ფორმირებას, რაც, რა თქმა უნდა, დიდი შესაძლებლობას და პერსპექტივებს ქმნის ქვეყნის სატრანზიტო დერეფნის გაძლიერების მიმართულებით.

თუმცა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ გეოგრაფიულად საქართველოზე გადის აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი გზა, საკმარისი არ არის. არსებობს მთელი რიგი გამოწვევები რაც უკავშირდება საქართველოს გეოეკონომიკურ ჰაბად ფორმირებას. სიძნელეების მიუხედავად, დღეს, როდესადაც საქართველოში სატრანსპორტო დერეფნის შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული და ეს ეხება როგორც რკინიგზას, ასევე მილსადენებს, იკვეთება ისტორიული „შანსი“ მისი გეოკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით.

ოთარი ტუკვაძე,
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ჩიხლაძე
ქუთაისის უნივერსიტეტი

“ინტელექტუალური ტექნოლოგიების როლი გლობალური წყლის დეფიციტის დაძლევაში“

აბსტრაქტი

წყლის გლობალური დეფიციტი და მზარდი მოსახლეობა გლობალური დათბობის ფონზე წყალს აქცევს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას და კონკურენტუნარიან ბუნებრივი რესურსად. სასმელად, სოფლის მეურნეობისა თუ მრეწველობისთვის სუფთა წყლის უწყვეტი მიწოდება მომავლის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა, ამიტომ ამ რესურსის მოპოვება, მისი სწორი და მიზანმიმრთული გამოყენება წარმოადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხს.

ამდენად, დღის წესრიგში დგება ისეთი ინტელექტუალური წყლის ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა, რაც უზრუნველყოფს წყლის მოპოვების ახალი წყაროებისა და მეთოდების გამოყენებას და ოპტიმიზაციას. ცვლილებებზე ორიენტირებული მოწინავე ტექნოლოგიებით შესაძლებელია წყლის დეფიციტით გამოწვეული კრიზისის დასაძლევა.

წყლის რესურსის გამოყენება/შენარჩუნების ორი პრინციპი არსებობს: მისი დაცვა და დაზოგვა. წყლის რესურსების დაზოგვის ძირითად გზებს განეკუთვნება წყლის დაბინძურების პრევენცია, წყლის აღების ტექნიკა, ზღვის წყლის გამწმენდი ხსნარები, წყალსატევების/მიწისქვეშა წყლების შევსება და წყლის ხელახალი გამოყენების ტექნოლოგიები.

ტექნოლოგია არის კრიტიკული ასპექტი სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად მთელ მსოფლიოში. თუმცა,

იმისათვის, რომ ტექნოლოგიები იყოს წარმატებული, ყურადღება უნდა მიექცეს ინფრასტრუქტურას, ოპერაციებსა და ინსტიტუტებს. მნიშვნელოვანია პერსონალიც, რომელთა უნარები და შესაძლებლობები შესაბამისობაში იქნება სისტემის მუშაობასთან. ამის მიღწევა შესაძლებელია თუ სახელმწიფოები საკუთარი პოლიტიკითა და კანონებით, შესაბამის ორგანიზაციებთან და გაერთიანებებთან ერთად კონსოლიდირებულად იმუშავებენ ისეთი ინტელექტუალური ტექნოლოგიების დანერგვაზე, რაც ხელს შეუწყობს გლობალური წყლის დეფიციტის პრობლემის მოგვარებას. ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა და ამის შემდეგ ქმედითი, შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმა.

მარიამი დენოსაშვილი,
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ლუხუტაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

“სტუდენტთა ცოდნის შეფასების ფორმები და მეთოდები“

აბსტრაქტი

Student Evaluation is an integral part of the educational process as it shows to what extent students achieved learning outcomes of curriculum and each course. There are two main methods to assess student knowledge: diagnostic assessment paired with summative assessments. Summative assessment examples are midterm and final exams, which are usually held in different forms (oral, written, and objective tests) in accordance with course content. The article describes

the results of a survey conducted to reveal the advantages and disadvantages of student assessment methods and forms.

ხატია კაკაურიძე
სამეცნიერო ხელმძღვანელი პაატა კლდიაშვილი
ქუთაისის უნივერსიტეტი

„ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკის ცვლილება XX და XXI საუკუნეებში,

აბსტრაქტი

ბუღალტერია ყოველთვის იყო ჩვენი ისტორიის ნაწილი, მაგრამ ის ცნობილი გახდა, როდესაც დაინერგა ფულადი სისტემები. ბუღალტერია არის ენა, რომელიც ათასობით წლით თარიღდება და გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ან ენის ადრეული მტკიცებულება მომდინარეობს მესოპოტამიის ცივილიზაციებიდან 7000 წელზე მეტი ხნის წინ. მესოპოტამიელები ინახავდნენ ყველაზე ადრეულ ჩანაწერებს ვაჭრობისა და მიიღებული საქონლის შესახებ და ეს საქმიანობა დაკავშირებულია ძველი ეგვიპტელების და ბაბილონთა ადრეულ ჩანაწერებთან. მესოპოტამიელები იყენებდნენ პრიმიტიულ აღრიცხვის მეთოდებს, აწარმოებდნენ ჩანაწერებს, სადაც დეტალურად იყო აღწერილი ტრანზაქციები ცხოველებთან, პირუტყვსა და ნათესებთან. ბუღალტერი გაჩნდა მაშინ, როდესაც საზოგადოებაში იყენებდნენ ბარტერულ სისტემას და სჭირდებოდათჩაეწერათ შეთანხმებები, რომლებსაც ისინი დებდნენ საქონლისა და მომსახურების ტრანზაქციებთან დაკავშირებით. ბუღალტრული აღრიცხვის ისტორიაში მიმდინარეობს დებატები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს ისტორიული მასალის შეკრიბვა, ინტერპრეტაცია, გაანალიზება და დაწერა. ამ დება-

ტების ცენტრში დგას მრავალწლიანი საზრუნავი გამოძიების „ობიექტური“ რეჟიმები. ბუღალტრული აღრიცხვის ისტორიის ძირითადი ორთოდოქსია მოიცავს ისტორიის ობიექტურ ხედვას, მაშინ როდესაც ალტერნატიული მიდგომა ხელს უწყობს ინტერპრეტაციულ და კრიტიკულ პოზიციებს.

KUTAISI UNIVERSITY

18th Student Scientific Conference

Medical-Scientific Student Conference

Faculty of Medicine

20 June, 2022
Kutaisi, Georgia

CONFERENCE ORGANIZING COMMITTEE AT FACULTY OF MEDICINE:

1. Gocha Tutberidze – Rector of the Kutaisi University
2. Tamar Pertaia – Dean of the Medical Faculty
3. Tinatin Gognadze – Head of the MD program
4. Vajha Agladze – Assoc. Professor, Kutaisi University
5. Sophio Gamkrelidze - Professor, Kutaisi University
6. Ketevan Ukleba - Professor, Kutaisi University
7. Nana Kvirtia – Invited Lecturer, Kutaisi University
8. Irma Porchkhidze - Invited Lecturer, Kutaisi University
9. Tornike Badzgaradze- Head of the Simulation Center, Kutaisi University
10. Khatuna Rusadze- Professor, Kutaisi University
11. Ana Kakabadze – Learning Process Manager at Faculty of Medicine
12. Lali Chkhikvadze - QAS Manager at Faculty of Medicine

C O N T E N T

Shankar Jayashruthi, Tea Tcharkhalashvili, INCREASE IN MORTALITY RATES DUE TO POVERTY AND NEGLIGANCE OF PUBLIC HEALTH SYSTEM. 26

Venket Prabhakar Pitchai Krishnan & Mohamed Askar Rahamathulla Irma Porchkhidze, DIFFERENT TYPES OF MICROSCOPES USED IN HISTOLOGY. 27

Dhruv Doyal, Lali Chkhikvadze, MYSTERY OF CELL DEATH 29

Sasirekha Elumalai & Muthu Kumar Alegasan Tatia chubinidze, A LITTLE STORY ABOUT HEART FAILURE 30

Sanjay Palanisamy & Mohanram Parthiban Maia Adeishvili, CHRONIC KIDNEY DISEASE 31

Ronit Verma, Nana kvirt, OBESITY 32

Raghul Vignesh Rathinakumar & Harish Manjunathan Irma Porchkhidze, ENDOCRINE AND EXOCRINE GLANDS 33

Sureka Eswaran & Prathiksha Seenuvasan Irma Porchhidze, NEURON TYPES AND THEIR FUNCTION 35

Akshat Vijay, Sophio Gamkrelidze, DOWN SYNDROME 36

Increase in Mortality Rates Due to Poverty and Negligence of Public Health System

Student: Shankar Jayashruthi
Supervisor: Tea Tcharkhalashvili
Kutaisi University. Kutaisi. Georgia

As the proverb goes “PREVENTION IS BETTER THAN CURE” but still few diseases, illness and mortalities can not be prevented. But while trying for cure that doesn't happen either cause of medical and administration negligence or poverty and also because of the countries underdeveloped scientific research centers, which can not produce the desired results for the much needed disease control management. While the greatest success of emergency medical innovational crisis in world history happened and got full approval for a mRNA vaccine from USA's Food and Drug administration for COVID-19 Pfizer-BioNTech COVID-19 Vaccine.

Introducing a not so familiar disease called Spinal Muscular Atrophy (SMA), which is a genetic disorder, which causes wasting (atrophy) of muscles used for movement. The disease occurs in newborns, infants and few adults cost around three million USA dollars in India for the treatment of it and the reason for the huge amount of money costs is because of the low occurrence of the disease, higher expenses in the research in gene therapy & the expenses of drug developmental and production process . Postpartum Hemorrhage (PPH) is a well-known complication yet it is the leading cause of maternal deaths and is responsible for 25% of deaths annually all around the globe according to the clinical research article about the same conducted by the members of the Mpilo Central Hospital, Zimbabwe.

Key words: Prevention, mortality, Vaccine**,** USA's Food and Drug administration;

DIFFERENT TYPES OF MICROSCOPES USED IN HISTOLOGY.

Students: Venket Prabhakar Pitchai Krishnan & Mohamed Askar Rahamathulla
Supervisor: Irma Porchkhidze
Kutaisi University. Kutaisi. Georgia

A microscope is a laboratory instrument used to examine object that are too small to be seen by the naked eye. Microscopes can be separated in to several different classes. It is based on what interact with the sample to generate the image, I. e., Light or photons. (Optical microscope), at electrons (electron microscope). Histology, which is the microscopic study and structure of tissues and it's also used to study find details of biological cells.

In histology there are - types of light microscope are used and they are, Bright - field microscopy, Fluorescence microscopy, phase-contrast, confocal microscopy, polarizing microscopy.

1. Bright-field Microscope is also known as the Compound Light Microscope. It is an optical microscope that uses light rays to produce a dark image against a bright background. It is the standard microscope that is used in Biology, Cellular Biology, and Microbiological Laboratory studies.

2.A fluorescence microscope uses a mercury or xenon lamp to produce ultraviolet light. The light comes into the microscope and hits a dichroic mirror -- a mirror that reflects one range of wavelengths and allows another range to pass through. The dichroic mirror reflects the ultraviolet light up to the specimen.

3.Phase-contrast microscopy (PCM) is an optical microscopy that converts phase shifts in light passing through a transparent specimen to brightness changes in the image. Phase shifts themselves are invisible, but become visible when shown as brightness variations.

4. Confocal microscopy uses light from a laser through the objective of a standard light microscope to excite a specimen within a narrow plane of focus. Any emission of light from out-of-focus planes is rejected by the

pinhole, or confocal aperture.

5. Polarized light microscopy is capable of providing information on absorption color and optical path boundaries between minerals of differing refractive indices, in a manner similar to bright field illumination, but the technique can also distinguish between isotropic and anisotropic substances.

Key words: Microscopes; Histology; Tissue, Cells, Brightness variations, Ultraviolet light;

MISTERY OF CELL DEATH

Student: Dhruv Doyal
Supervisor: Lali Chkhivadze
Kutaisi University. Kutaisi. Georgia

Cell death is an essential biological process for physiological growth and development. In unicellular organisms, cell death is the end of life, whereas it is an essential biological process for the multicellular organisms. There are two major forms of cell death; I. passive death (necrosis), and ii. programmed death (apoptosis and autophagy).

- The necrosis type of cell death occurs when cells are subjected to sudden and severe external stress, necrosis type of cell death, is caused by non-physiological stress inducers and it is characterized by a physically damaged cell such as cellular organelles expansion, plasma membrane rupture to release the intracellular contents into the surrounding environment.
- Apoptosis is a conserved cell-death process displaying characteristic morphological and molecular changes including activation of caspase proteases. The caspase-cascade system plays vital roles in the induction, transduction and amplification of intracellular apoptotic signals.
- Another type of programmed cell death is an autophagy or so called “new apoptosis”. Autophagy promotes the cell survival but only under the prolonged stress, under the limited nutrient condition it induces cell death and it is morphologically different from apoptosis. When cells are stressed, autophagy is instinctively induced prior to apoptosis, and if autophagy is inhibited, induction of apoptosis takes place rather than necrosis.

All three forms of cell death executed through distinct and sometimes overlapping specific-signaling pathways that are engaged in response to specific stimuli.

Key words: Cell death, Apoptosis, Autophagy, Necrosis

A Little Story About Heart Failure

Students: Sasirekha Elumalai & Muthu Kumar Alegasan
Supervisor: Tatia Chubinidze
Kutaisi University. Kutaisi. Georgia

Heart disease is the leading cause of death in worldwide. 21 Million Adults worldwide are living with HF and this number is expected to rise. HF is N1 cause of hospitalization for patients aged > 65 year. The "Heart Failure" does not mean that our heart has stopped. However, HF is a serious condition that needs medical care.

HF can be ongoing (Chronic HF) or it may start suddenly (Acute HF). HF may be caused by cardinal and extracardial disease. These included Coronary Heart Disease, High blood pressure, Heart valve disease, Anemia, Diabetes mellitus, Obesity, Chronic Lung Disease etc. Never ignore these symptoms: Chest pain, Shortness of breath, fatigue, Edema, Irregular heartbeat, cough.

We used the following test for diagnoses HF: Blood tests, ECG, Chest X ray, Echocardiography. Treatment will depend on the type of heart failure and in part, what caused it. Medications and lifestyle behaviors are part of every treatment plan. We use modern guidelines to directed medical therapy across HF stages. Timely diagnosis to timely elimination of problems.

Key words: Heart Failure; Chronic HF; Acute HF; Echocardiography; Coronary

Chronic Kidney Disease

Students: Sanjay Palanisamy & Mohanram Parthiban
Supervisor: Maia Adeishvili
Kutaisi University. Kutaisi. Georgia

The Diabetic Kidney diseases (DKD) is the leading of kidney disease (CKD). There is diabetes. There is two decades; DKD still develops in approximately 30% of individuals with type of 1 diabetes and 50% of those with type 2 diabetes. The incidence of end-stage renal disease (ESRD) has stabilized over the past decade; the increasing prevalence of diabetes due obesity, aging, and reduction in cardiovascular disease related death has greatly expanded the number of people living with diabetes.

In 2015 a 415 million cases of diabetes throughout the world; 2040 a 642 million cases, and 90% to 95% will be type 2 diabetes. Development of DKD in people with diabetes amplifies the risk of cardiovascular disease, infections and cancers as well as cardiovascular –related and all-cause mortality.

The non-DKD causes of kidney disease:

Absence of diabetic retinopathy, low eGFR, rapidly decreasing eGFR; increases in albuminuria; development of nephrotic syndrome; presence of active urinary sediment; refractory hypertension.

The chronic kidney disease network offers for a mechanism for proceeding with efforts to improve patient outcome.

Key words: kidney, DKD, CKD, ESRD, Mortality

OBESITY

Student: Ronit Verma.
Supervisor: Nana Kvirtia
Kutaisi University. Kutaisi. Georgia

Obesity is now so common within the world's population that it is beginning to replace under nutrition and infectious diseases as the most significant contributor to ill health. In particular, obesity is associated with diabetes mellitus, coronary heart disease, certain forms of cancer, and sleep-breathing disorders. Obesity is defined by a body-mass index (weight divided by square of the height) of 30 kg m−2 or greater, but this does not take into account the morbidity and mortality associated with more modest degrees of overweight, nor the detrimental effect of intra-abdominal fat. The global epidemic of obesity results from a combination of genetic susceptibility, increased availability of high-energy foods and decreased requirement for physical activity in modern society. Obesity should no longer be regarded simply as a cosmetic problem affecting certain individuals, but an epidemic that threatens humans globally.

It is most commonly measured using the body mass index (BMI). the objectives of measurement (clinical assessment, surveillance, evaluating response to interventions), the definition of "abnormal" fat accumulation, and the characteristics of a good measurement tool (accuracy and acceptability). Accurate diagnosis of obesity is important, not only for the individual, when misdiagnosis could lead to under treatment or potential stigma, but also at the population and policy levels. Inaccurate measurements could mislead our interpretation of the epidemiology of obesity or planning of services.

Obesity impact youth as well as Child and adolescent obesity is also associated with increased risk of emotional problems. Teens with weight problems tend to have much lower self-esteem and be less popular with their peers. Depression, anxiety and obsessive-compulsive disorder can also occur.

Key words: Obesity, BMI, Global Epidemic, High-energy food, Diabetes.

ENDOCRINE AND EXOCRINE GLANDS

Student: Raghul Vignesh Rathinakumar & Harish Manjunathan
Supervisor: Irma Porchkhidze
Kutaisi University. Kutaisi. Georgia

Gland is a functional unit of cells that works together to secrete and release a chemical product into a duct or directly to the blood stream. Typically, there are two types of glands exist they are Endocrine and Exocrine glands. Exocrine glands have a duct which will store the secretion from the particular gland in other hand the Endocrine gland does not have any sort of duct structure and the secretion directly poured into the bloodstream to reach the target organ. This secretion will guide the processes like metabolism, growth and sexual development. Hormones and chemical secretion are also involving in regulating emotional life.

Endocrine glands: There are about eight major endocrine glands are scattered throughout the human body, but they are still considered as a single system because they exclusively have similar functions and mechanism of influence and they are have many interrelationships. 1. Pineal gland 2. Pituitary gland 3. Thyroid gland 4. Thymus (parathyroid gland) 5. Adrenal gland 6. Pancreas 7. Ovary (One of female reproductive part) 8. Testis (One of male reproductive part)

Exocrine glands: The gland, which has the duct to store and release, the secretions are generally known as the Exocrine glands. There are two main structures in exocrine gland one is Ductal portion and Glandular portion. The major types of exocrine glands are Holocrine, Merocrine, Apocrine.

Even though the endocrine glands scattered over the human body but they all considered to be as a single system. Because the similar function and similar mechanism of influence and many important relationships. Cells in a target tissue have specific receptor for specific hormones. Endocrine glands secrete hormones directly into the blood stream which transports the hormone through the human body. Exocrine glands play a key role in many organ systems from the skin to the pancreas providing the

body with a method to release secretion containing proteins mucus and other products to the epithelial surfaces around the body.

Key words: ENDOCRINE, Exocrine, Hormones, cells, secretion;

NEURON TYPES AND THEIR FUNCTION

Students: Sureka Eswaran & Prathiksha Seenuvasan
Supervisor: Irma Porchkhidze
Kutaisi University. Kutaisi. Georgia

The neuron system of all animals is composed of highly specialized cells are known as Neuron. Which can detect, receive and transmit different kinds of stimuli. The Neural organization very simple in lower invertebrates for example in hydra it is composed of network of neurons. The neural system is better organized in insects where a brain is present along with number of ganglions and neural tissue. The vertebrate has more developed neural system. Based on their structure and function it is classified as different types. Neurons are the building block of any neural work and functional unit of nervous System (nerve cells). Each neuron is connected by 1000 neurons through fiber called dendrites 100 billion neurons are present at birth. They can not replace by any other neurons. They do not replicate like other cells do Neuron scary and transmit information throughout the body. It carries information the form of electrical and chemical signals called neurotransmitter; Neuron have a very adorable structure, the parts of the structure are; Cell body, Dendrites, Axon, Synapses.

Neurons carry signals throughout the central and peripheral nervous systems. Their function is to send electrical impulses and chemical signals to and from the brain. Most neurons have three parts, including a cell body, which contains the nucleus and the cytoplasm, an axon, which transmits information away from the nucleus, and dendrites, which receive messages from other neurons. The main types of neurons include motor neurons, which transmit information to our muscles, sensory neurons.

Key words: Neuron; ganglions, neural tissue; central and peripheral nervous systems, sensory;

DOWN SYNDROME

Student: Akshat Vijay
Supervisor: Sophio Gamkrelidze
Kutaisi University. Kutaisi. Georgia

Down syndrome is a situation in which a person has an extra chromosome. Chromosomes are small "packages" of genes in the body. They determine how a baby's body forms and functions as it grows during pregnancy and after birth. Typically, a baby is born with 46 chromosomes. Babies with Down syndrome have an extra copy of one of these chromosomes, chromosome 21. A medical term for having an extra copy of a chromosome is 'trisomy.' Down syndrome is also referred to as Trisomy 21. This extra copy changes how the baby's body and brain develop, which can cause both mental and physical challenges for the baby.

Down syndrome continues to show an increased prevalence of low bone mass and highlights the importance of considering short stature when interpreting dual energy x-ray absorptiometry.

Down syndrome is also at risk for other autoimmune conditions, with recent research revealing the role of the increased expression of the Autoimmune Regulatory gene on 21st chromosome.

People with Down syndrome died about 28 years younger than the general population.

Down syndrome continues to be the most common chromosomal disorder. Each year, about 6,000 babies are born with Down syndrome, which is about 1 in every 700 babies born.

Between 1979 and 2003, the number of babies born with Down syndrome increased by about 30%

Down syndrome is the commonest chromosomal disorder causing mild to moderate intellectual disability, yet it is one of the neglected disorders amongst practicing physicians. Children with Down syndrome when intervened early by speech therapy, physiotherapy and occupational therapy and given proper medical attention for different health issues, can have a better long-term outcome as compared to other genetic causes of intellectual disability.

Key words: Down syndrome, Chromosomes, genes, trisomy